სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ებრაულ-არამეული ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი მარიამ ჩაჩიბაია

პროგრამის ანალოგი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ანალოგი შეიძლება დაიძებნოს:

1. კემბრიჯის (http://www.oriental.cam.ac.uk/hebrew1.html),
2. ლაიდენის (http://www.mastersinleiden.nl/programmes/ma_hebrew_aramaic.jsp)
3. ოქსფორდის (http://www.orinst.ox.ac.uk/nme/hebrew-mst.pdf),
4. ლონდონის უნივერსიტეტის SOAS-ის კოლეჯი (www.soas.ac.uk/studying/courseinfo.cfm?courseinfoid=9 - 14k)
5. თელ-ავივის უნივერიტეტი (ისრაელი) (http://www.tau.ac.il) და სხვ.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ებრაისტიკა-არამეისტიკა აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ სემიტოლოგიის ტრადიციული დარგია, როგორც მსოფლიოს წამყვან ორიენტალისტურ ცენტრებში, ასევე საქართველოში. მსოფლიოს რეალური თუ პროგნოზირებადი განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზიისა და ჩრდილოაფრიკულ კვლევებს ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტში, რეგიონული და გლობალური, ტრადიციული და თანამედროვე თვალსაზრისით.

სრულიად განსაკუთრებულია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. განუზომლად დიდია ებრაული და არამეული ენების მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის, რაც მეტად თვალსაჩინო გახდა მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ცხადია, როგორც ებრაულის, ისე არამეული ენების შესწავლა ქართველოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ამ ენების შესწავლისადმი ინტერესი არის არა მხოლოდ საკუთრივ ებრაული თუ არამეული ენების სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა, არამედ მათი შესწავლა უწინარესად იმდენად, რამდენადაც ეს სჭირდება ჩვენი კულტურის ისტორიას, იქნება ეს ქართული ენის, ქართული დამწერლობის ისტორია თუ ქართული კულტურის ისტორიის საკითხები.

მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობა ამჟამად ახალ ეტაპზე გადის. გლობალიზაციის ეპოქა, თავისი ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი პოზიტივითა და ნეგატივით, ახალი შინაარსით ავსებს როგორც მსოფლიო, ისე ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობას და ეს ვითარება აუცილებლად გასათვალისწინებელია. დღეს აღმოსავლეთის ქვეყნებს (მათ შორის ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს) აქვთ პლანეტის მომავალზე გავლენის დიდი პოტენციალი. ამიტომ აღმოსავლეთმცოდნეობის ზოგადად, და კერძოდ სემიტოლოგიის მნიშვნელობა კარგა ხანია გასცდა «აკადემიური ცნობისმოყვარეობის» ჩარჩოებს, დღეს ის - სტრატეგიული მეცნიერებაა.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიური ჩართვა გარკვეულწილად განაპირობებს აღმოსავლეთმცოდნეთა, მათ შორის ებრაისტ-არამეისტების მომავალი თაობისათვის, როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვეობის შესაბამისი განათლების მიღებას.

სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას უდავოდ განაპირობებს საქართველოში მნიშვნელოვანი ებრაული და არამეული დიასპორების არსებობა.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სპეციალისტების მომზადება მსოფლიოს წამყვან ორიენტალისტურ ცენტრებსა და უნივერსიტეტებში დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შედეგი: სამაგისტრო პროგრამა ვარაუდობს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და დახვეწას სათანადო საგნების დაუფლებით, რაც კარგ საფუძველს მისცემს სამეცნიერო, კერძოდ, სემიტოლოგიის დარგში მომუშავე მაგისტრს. პროგრამა საშუალებას აძლევს მაგისტრანტს იმისათვის, რომ მისი სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესები, რაც შეიძლება ფართო იყოს სპეციალიზაციის შესაძლებლობებთან ერთად.

- პროგრამაში წარმოჩენილია არცთუ ვიწრო სფერო, რომელიც შეთავაზებულია მაგისტრანტებისათვის. ესენია: ზოგადი ბიბლეისტიკა ქართულ პრობლემატიკასთან ერთად (ბიბლიის ქართული თარგმანის ძველი პლასტები), ებრაულ-არამეული ენების სტრუქტურა, სემიტურ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი, არამეული ეპიგრაფიკა საქართველოში, არამეული კულტურის კერები და ადრექრისტიანული პრობლემატიკა, იუდაიზმი, ებრაული კულტურა დიასპორებში, თანამედროგე ებრაული ენა და ლიტერატურა, ტექსტოლოგია და ტექსტუალური კრიტიკა.
- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ებრაულ-არამეული ენებისა და ლიტერატურის სფეროში შეძენილი ცოდნის გამოყენებას კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტისას; სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვას, ორგანიზებასა და წარმართვას.
- სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპარატივისტული და ტიპოლოგიური მეთოდების გამოყენებით სემიტური ენების და ლიტერატურული ძეგლების კვლევას. მომიჯნავე დარგების მონაცემების მოხმობას სემიტური ენათმეცნიერებისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურული კონტაქტების შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების საკვლევად და გადასაჭრელად.
- მაგისტრატურის კურსის ფარგლებში მიღებული კომპეტენციის საფუძველზე სემიტოლოგიური პრობლემის გადაჭრას და გადაწყვეტილების მიღებას, დროის სწორად გამოყენებას, ჯგუფში, მათ შორის ინტერდისციპლინარულ კვლევებზე ორიენტირებულ, სამეცნიერო ჯგუფში მუშაობას;
- ეფექტიან მუშაობას დამოუკიდებლად და ჯგუფში, როგორც წევრის, ისე ხელმძღვანელის როლში; შეეძლება ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ჯგუფის სხვა წევრთა შესაძლებლობების სწორად გამოყენება, კონფლიქტური სიტუაციების აცილება;
- სასწავლო რესურსების სრული სპექტრის გამოყენებას; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და მის განხორციელებას უახლეს მეთოდებსა და მიდგომებზე დაყრდნობით;
- მაგისტრანტს კურსის დასრულების შემდეგ ეცოდინება და თავისუფლად გამოიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ექნება მულტიმედიური კომპეტენცია, რომელიც ხელს შეწყობს სემიტოლოგიური პრობლემატიკის კვლევისას მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას.

მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს დოქტურანტურაში.

დასაქმების სფეროები

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ თსუ ებრაულ-არამეული ფილოლოგიის დეპარტამენტში, თსუ ენების ცენტრში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. მათ შეუძლიათ, იმუშაონ დიპლომატიურ სამსახურში, საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, რადიოსა და ტელევიზიაში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში, საქართველოს საპტრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, არასამთავრობო სტრუქტურებში, მუზეუმებში, არქივებში. საქართველო-ისრაელის კეთილმეზობლური ურთიერთობის ფონზე ებრაულ-არამეული ფილოლოგიის მაგისტრი მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება. მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ თარჯიმნებად. დღეს საქართველოში მრავალი ებრაული და ქართულ-ებრაული ორგანიზაცია არსებობს, ამდენად კვალიფიციურ ებრაისტზე მოთხოვნა დიდია.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრი, მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.
- გარდა საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებისა, სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში _ ებრაული ენა _ B_2 დონე.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სასურველია მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, თუ გავლილი აქვს სტაჟირება საზღვარგარეთის ქვეყნების რომელიმე უნივერსიტეტში, წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი, თანაბარი ქულების მოპოვების შემთხვევაში, სასურველია გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული მონაცემები, ასევე ჩატარდეს ზეპირი გასაუბრება
- სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო.

კვლევითი კომპონენტი :

სასწავლო – 75% სამეცნიერო – 25%

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის – ებრაულ-არამეული ფილოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა განისაზღვრება ბიბლეისტიკის, ებრაული და არამეული ენების სტრუქტურისა და ისტორიის, შედარებითი სემიტური ენათმეცნიერების, ბიბლიის ებრაულისა და ბიბლიის არამეულის, სემიტურ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების, ტექსტოლოგიისა და ტექსტუალური კრიტიკის, არამეული ეპიგრაფიკის, ქართველ და აღმოსავლეთის ხალხთა ენობრივი და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების სფეროებით.

ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებებიდან მაგისტრანტს აქვს შესაძლებლობა შეარჩიოს მისი სამეცნიერო ინტერესების შესაბამისი საკვლევი თემა სამაგრისტრო შრომისათვის.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
ებრაულ-არამეული ფილოლოგიის განყოფილების კუთვნილი ორი აუდიტორია აღ-ჭურვილია სასწავლო აუდიო საშუალებებით (მაგნიტოფონი, აუდიო კასეტები, კომპიუ-ტერი, ინტერნეტი, კომპაქტ-დისკები); სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწი-ნებით კათედრა ისრაელიდან ყოველწლიურად იღებს სახელმძღვანელოებსა და სამეც-ნიერო გამოცემებს, აგრეთვე, პერიოდულ პრესას;

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:
ებრაულ-არამეული ფილოლოგიის განყოფილება წარმოდგენილია კვალიფიციური კადრებით. პროგრამის სავალდებულო საგნებს წაიკითხავს თსუ ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის 2 პროფესორ-მასწავლებელი: 2 ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, ხოლო არჩევით საგნებს წარუძღვებიან როგორც ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის, ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლები.

თანამშრომელთა უმრავლესობა მივლინებული იყო უცხოეთის მნიშვნელოვან სასწავ-ლო-სამეცნიერო დაწესებულებებში (ლონდონის უნივერსიტეტი – SOAS-ის კოლეჯი, ბრიუსელისა და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტები (ბელგია), როჩესტერის უნი-ვერსიტეტი (აშშ), იენისა და ბოხუმის უნივერსიტეტები (გერმანია), იერუსალიმისა და თელ-ავივის უნივერსიტეტები (ისრაელში), დამასკოს ნაციონალური უნივერსიტეტი (სირია), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, სანკტ-პე-ტერბურგის უნივერსიტეტი.
მომავალ სასწავლო წელს ლექციების კურსის წასაკითხად მოწვეულები არიან პროფესორები ისრაელიდან, იტალიიდან და ჰოლანდიიდან.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ებრაული და არამეული ენების ისტორიული გრამატიკა)	სავალდებულო	5
2.	ბიბლიის ხუთი გრაგნილი (ქებათა ქება, რუთი, იერემიას გოდება, ეკლესიასტე, ესთერი).	სავალდებულო	10
3.	შუა საუკუნეების საგანმანათლებლო და სამწერლობო ცენტრები სირიაში. ედესისა და ნისიბინის აკადემიები	სავალდებულო	10

4.	სირიული პოეტიკა	სავალდებულო	5
5.	ძველი (ბიბლიის) ებრაულის მორფოსინტაქსი, სინტაქსი	სავალდებულო	10
6.	თანამედროვე ებრაული ენის სინტაქსი	სავალდებულო	10
7.	სირიული ენის მორფოსინტაქსი და სინტაქსი	სავალდებულო	5
8.	იუდაიზმის საფუძვლები	სავალდებულო	5
9.	ბიზანტიური ცივილიზაცია (იხ. სილაბუსი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუა საუკუნეების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	არჩევითი	5
10.	აღმოსავლეთი და დასავლეთი (შუა საუკუნეები) – შედარებითი კვლევები (იხ. სილაბუსი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუა საუკუნეების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	არჩევითი	10
11.	თანამედროვე მედიევისტიკა (კვლევის მეთოდები, ფორმები და პერსპექტივები) (იხ. სილაბუსი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუა საუკუნეების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	არჩევითი	10
12.	მკვდარი ზღვის გრაგინლები (ყუმრანის ბიბლიური ტექსტები)	არჩევითი	5
13.	შ. აგნონის მხატვრული ენა	არჩევითი	5
14.	სინქრონული თარგმანის კურსი	არჩევითი	5
15.	ინტენსიური კურსი ძველბერძნულ ენაში (ix. silabusi Tsu klasikuri filologiis, bizantinis-tikisa da neogrecistikis institutis samagistro programa)	არჩევითი	5
16.	ინგლისური ენა	არჩევითი	
	სამაგისტრო ნაშრომი		-
	სულ		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა ჩატარდება ებრაულ ენაში (B2 დონე) წერითი სახით და შეფასდება 100 ქულიანი სისტემით.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ასოცირებულ პროფესორ მარიამ ჩაჩიბაიას ტელ:23-33-75 ელ- ფოსტა: giochi@gimx.net